№ 111. 31 მაისი, ქვირა. 1866—1881 31 მაისი, ქვირა. № 111.

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“ ВЫХОДИТ ЧЕРЕЗ ДЕНЬ

РЕДАКЦІЯ

გალავნის ბრილიანტზეთ. ოკ. შუხრანოვის ხახლებში. კლუბის ქვეშოთ.

ХЕЛИС-ЗАПИСКА

შიიღებაა თფილისში „დროებაზ“, „ოკვრაიის“ რედაქციაში, ქუთაისში, „დროებაზ-ოკვრაიის“ აგენტთან ი. ჭეონიანთან ხალაზე. კარეშე შეცხოვრებათოთვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაზ“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებაზ“ და „ოკვრაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაზ“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ოკვრაზ“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ЧЕРЕЗ ДЕНЬ

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოი შეკრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. [illegible] ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვოს, რედაქცია განაწილებს და შეამოკლებს დანაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-უბეჭდველ წერილს რედაქცია უოხტით კარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი შიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება შიიღება „დროებაზ“-„ოკვრაიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი

ძმანი კ. და ს. პაპოვები

(მოსკოვში)

პატივი გვაქვს საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ ამა წლის 2 ივნისს გაიხსნება ჩვენი მაღაზია თფილისში, გალავნის ბრილიანტზე, მირიმანოვის სახლში, სადაც ნარდათ და წვრილ-წვრილათ გაისყიდება ჩვენის ფირმის ჩაი, აწოდილი ჩვენის ზედამხედველობით ჩვენს მოსკოვის მთავარს მაღაზიაში.

ჩაის გარდა მაღაზიაში გაისყიდება აგრეთვე ყავა და შაქარი. (5—3)

სული-წმინდის მოწვენის დღესასწაულის გამო, სამშაბათს გაზეთი არ გამოვა.

არწრუნის თეატრში

ქვირას, 31 მაისს

ნ. გაბუნიას ქალის სასარგებლოდ:

ქართული დრამატიული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

მაჭანკალი

ორ-მოქმედებიანი კომედ., ი. ჭავჭავაძის „პაცია ადამიანისაგან“ იმისგანვე გადმოკეთებული.

II

გაიყუში

ორ-მოქმედებიანი ფარსი—ვოდევილი, ალექ. აგარლისა.

III

დივერტისმენტი

ბალეოები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 8½ საათზე.

ტელეგრამები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 29 მაისს. გლეხებისაგან საბატონო მამულების გამოსყიდვის გაადვილების თაობაზედ მოლაპარაკება 20 ივნისს დაიწყება. შინაგან საქმეთა მინისტერმა იგნატიევმა ამ საგანზე მსჯელობაში მონაწილეობის მისაღებად მოიბატიჟა მოსკოვიდამ: მოსკოვის გუბერნიის ერობის გამგეობის თავს-მჯდომარე ნაუმოვი და ხმოსნები: თ. სჩერბატოვი და დიმიტრი სამარინი.

ყანდაარი, 28 მაისს. ემირის ჯარებმა სრულიად დაამარცხეს ეფუბსანის მომხრეების ჯარები გირიშკის მახლობლად; ბრძოლა ოთხს საათს გაგრძელდა რამდენი ზარალი იყო ერთისა და მეორეს მხრით—ეს ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

თელავის სასულ. სასწავლებელზედ

ბუშინ-წინ, 27-ს მაისს, სამღვდელოების ყრილობაზე, სხვათა შორის, დაესწრო საქართველოს ექსარხოსი. ამან მოიწვია სოფლებიდგან მღვდლები ძალიან მძიმე საგნების გასაშინჯავათ, თუმცა ეს საგნები გამოეცხადათ მათ მხოლოთ გუშინ. ექსარხოსმა უთხრა კრებას: 1, სავაჭო სასულიერო სასწავლებლისთვის სახლი უნდა ეშოვოთო; ჩვენ რო აგვეშენებინა, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ არა გვყავს იმისთანა კაცი, რომელსაც შეეძლოს კეთილ-სინდისიანად, რიგიანად აღასრულოს ეს ტვირთიო; 2, საქალებო სკოლის ზედამხედველი უნდა გამოიცვალოს; 3, თელავის სასულიერო სასწავლებელში მესამე და მეოთხე კლასები დაიკეტონ და თფილისის სასწავლებელს შეუერთდნენ ეს კლასები; 4, სანთლის საქმე განხილულ იქმნეს. ეს საგნები დაადგინა ექსარხოსმა და მერე ადგა და სთქვა: როგორც გნებავთ, ისე გადასწყვიტეთ, მე ამ შემთხვევაში ხელს არ შეგიშლითო.

პირველი საგანი ჯერ გაურჩეველი დარჩა. მეორე საგანმა გაახარა მღვდლები, მეტადრე თელავის მაზრისა. აბათ იმდენად ვერ მოიფიქრეს, ვერ მოიაზრეს, რომ ორი კლასის დახურვა თელავში მათ დიდ ზარალს მოუტანს და შვილები დარჩებათ უსწავლელად. მის მაგივრად, რომ სასწავლებლების რიცხვი გაამრავლონ, როგორც შერებიან ყველა ქვეყნებში, ჩვენში მათ რიცხვს ამცირებენ! ის ქალაქი, რომელშიაც ერთ დროს იყო აკადემია, რომლიდამაც გამოდიოდნენ ჩინებული სწავლულნი და მეცნიერნი, ის ქალაქი ახლა უნდა მოკლებულ იყოს იმ ლამპარს (სწავლას), რომელიც უნათებს ყოველს ადამიანს ბნელეთის კარებს!

ჩვენს მღვდლებს, მეტადრე თელაველ წევრებს ჰგონიათ, რომ დიდ სარგებლობას მოუტანს მათ ორი კლასის დაკეტა. მატერიალურის მხრით მღვდლებს იმ ორი კლასის დაკეტვის შემდეგ რჩებათ 2,000 მანეთი. ეს ფულები უნდა ეძლიოს თბილ. სას. სასწავლებელს თელავის მე-3 და 4 კლასის შაგირდების შესანახავად. თუ მიეიღებთ მხედველობაში, რომ თფილისის ოკრუგის სამღვდელოების ყრილობის დადგენის ძალით ყოველმა პანსიონერმა უნდა შემოიტანოს თავის შესანახავათ პანსიონში 155 მანეთი წელიწადში, გამოვა, რომ ყოველ წლობით იმ 2,000 მანეთით თელავის მაზრას თფილისის სასწავლებელში შეუძლიან გამოზარდოს მხოლოდ 12 ყმაწვილი.

ექსარხოსმა ბრძანა, რომ თელავშ, მუდამ ერთი-ორი შაგირდის მეტი ვერ ასრულებსო, ამიტომ იმ ორი კლასის დაკეტა უმჯობესი იქნებაო. ამის შესახებ ჩვენ ვიტყვით, რომ წინეთ, როდესაც ზედამხედველად იყვნენ ისეთი პირები, როგორც მაგალითად ბ. ლ., მაშინ, მართალია, სწავლა თელავში კარგად ვერ მიდიოდა და ამის გამო იყო ისეთი წელიწადები, როდესაც სწავლას ასრულებდა ხან 4, ხან 5 და ხან 6 და არა ნაკლებ 4-სა. მის შემდეგ რაც გამწესდა თელავში ზედამხედველად ბ. მთვარელიშვილი, სასწავლებელს ფერი ეცვალა: ყოველ წლობით სასწავლებელი წარმატებაში შედის. აი მაგალითად წრეულს ასრულებს თელავში კურსს არა ერთი ან ორი, არამედ ათი ყმაწვილი; მოსამზადებელი კლასი წინეთ იყო ერთი, ახლა ორია; მაგრამ მოსწავლეთ სიმრავლის გამო (ორივე მოსამზადებელში 120 ყმაწვილია, უფროსში 50, უმცროსში 60) უნდათ მესამეც გახსნან. მკითხავ ჩვენ თელაველ მღვდლებს: როცა ეს 50 ყმაწვილი დაასრულებს თელავის მეორე კლასს, აბა სად უნდა წაიყვანონ? ბანა თფილისის სასწავლებელში არ უნდა გახსნან თქვენთვის ცალკე განყოფილება? თფილისის მესამე კლასში ახლა არის 30 ყმაწვილი; წესდების ძალით 40 მეტის შენახვა ერთ კლასში არ შეიძლება. მაშასადამე ორიოდე წლის შემდეგ უნდა დაარსდეს თფილისის სასწავლებელში (რომელშიაც ყოველ წლობით მატულობს შაგირდების რიცხვი) ერთი განყოფილება მესამე კლასში და ერთიც მეოთხეში.

ვიკითხოთ ახლა: რა დაუჯდება თელავის სამღვდელოებას თბილისში ორი განყოფილების შენახვა? ბანა ორი-სამი იმდენი არ დაუჯდება, რამდენიც ახლა უჯდება თელავის სასწავლებლის მე-3 და მე-4 კლასების შენახვა?! უფრო მეტიც დაუჯდება.

ბარდა ამისა, გინდ შეძლებაჰქონდეს ორი განყობილების დასაარსებლად თბილისში, რა სარგებლობას მოუტანს მათ შვილებს თბილისში სწავლა და თელავში? სრულიად არაფერს. თბილისის სასწავლებელი, რომელსაც აქვს დიდი პანსიონი (115 ყმაწვ.), რომელიც ყველა სასწავლებლებზე კარგად არის მოწყობილი, ჯერ ახლაც, როდესაც უვლის და ზრდის მხოლოთ თავის ოკრუგის მღვდლის შვილებს, უშვებს, ისეთ შაგირდებს, რომელნიც თფილისის სემინარიაში არიან ერთი უკანასკნელთაგანნი, როგორც სწავლის მხრით, ისე გონების გახსნილობით.

ჩვენ ვიცნობთ თელავის შაგირდებს; ბევრნი მათგანი ისე არიან გახსნილები, რომ უსემინარიოთაც კი თავისთვის გზას გაიკვლევენ ცხოვრებაში.

ჩემ აზრს ამტკიცებს აგრეთვე ის გარემოება, რომ თელავის სასწავლებლიდგან ვინც კი ღირსი გახდება მიღებულ იქმნეს სემინარიაში, მშვენიერად სწავლობს და პირველობა, თითქმის, მუდამ იმას რჩება.

მეორეს მხრით ძალიან ძნელი იქნება თელავიდგან შაგირდების ჩამოყვანა თფილისში ამ უგზოდ-უკვლობის დროს. თელავის სამღვდელოებას ჯერ ახლაც ეზარება თფილისის სემინარიაში შვილების ჩამოყვანა.

თელავში ყოველს მღვდელს შეუძლიან გამოზარდოს თავის შვილი იაფად და მცირე შრომით. იქ ყველაფერი იაფია. ბევრ მღვდელს იმიტომ არ ჩამოჰყავს სემინარიაში თავისი შვილი, რომ საგზაო ფული და ხარჯი ემძიმება.

ჰავის მხრით, ეჭვი არ არის, რომ თელავი ათას წილად სჯობია თფილისს.

ყველა ზემორე თქმულიდგან გამოდის, რომ მატერიალურის მხრითაც, სწავლა - აღზრდის და გიგიენურის მხრითაც სჯობია და აუცილებლად საჭიროა, რომ თელავში არ გაუქმდეს ორი კლასი.

ჩვენ იმას კი არ უნდა ეცდილობდეთ, რომ დავკეტოთ სასწავლებელნი, არამედ უნდა გამოვიკლიოთ თუ რა არიან ის მიზეზები, რომ სწავლას აბრკოლებენ და სასწავლებლის საქმეს წარმატების გზას უკვრენ შაგირდების რიცხვს ამცირებენ. ეს მიზეზები უნდა გამოვიკვლიოთ და მათ წინააღმდეგ მივიღოთ მკაცრი ზომები, რომ სამუდამოთ მოესპოთ უკეთურება ამ სასწავლებლის შესახებ.

**

საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრება.

26 მაისისთვის იყვნენ მოწვეულნი ტფილისში დეპუტატები ყველა საბალოჩინოდამ.

რა საგნები უნდა განეხილა კრებას არა ვინ იცოდა, ისე გაშინჯეთ, ალა-

გიც კი არ იცოდნენ თუ სად შეკრებილიყვნენ, რისგამოც დანიშნულ დღეს შეიკრიბენ სასულიერო სემინარიის წინ, სადაც ჩვეულობისამებრ ეგონათ მისცემდენ ალაგს კრებისათვის; მაგრამ აქ უარი უთხრეს, არ ათხოვეს არც ერთი ოთახი... აქედამ წვიმა-ტალახში გასწიეს პუკიისკენ სასულიერო სასწავლებელში, სადაც რის ვაი-ვაგლახით იშოვეს ალაგი.

აქ ფეხზედ მდგომებმა (დასასხდომი ალაგი არ იყო) გარდასწყვიტეს აღერჩიათ თავმჯდომარე და საქმის მწარმოებელი. კანდიდატებად დანიშნეს სამი მღ. მახარობლიძე, მ. ივანოვი და დეკ. ზარიძე, რომლებსაც უყარეს კენჭი. პირველს ამოუვიდა 22 თეთრი და 10 შავი, მეორეს 18 თეთრი და 14 შავი, მესამეს 18 თეთრი და 14 შავი. თავმჯდომარედ დარჩა მ. მახარობლიძე, საქმის მწარმოებლათ მ. ივანოვი.

ამ 26 მაისს ამის მეტი კრებას არა გაურიგებია-რა.

კრებამ სთხოვა თავმჯდომარეს, რომ მას ეთხოვა ეგზარხისთვის სას. სემინარიაში ალაგის მიცემა, რომელზედაც მიიღო კიდეც თანხმობა.

27 მაისს სხდომა გაიხსნა დილის ცხრა საათზედ, მაგრამ თერთმეტ საათამდის იმას ფიქრობდენ—თუ რაზედ უნდა დაეწყოთ მსჯელობა, რადგან არა ჰქონდათ-რა საქმე განსახილველი. ბოლოს როგორც იყო სანთლის ქარხნის კომიტეტმა წარმოადგინა თავის ანგარიში განსახილველათ. ანგარიში კრებამ არეულათ იცნო შემდგარი და გარდასწყვიტეს, რადგანაც დიდ დროს ითხოვდა მისი გასწორება, დანიშნა კომისიის; კომისიის წევრებად ამოირჩიეს მღ. ბულღარეევიჩი, მ. ბურგენიძე და დეკ. არდაზიანი, რომლებსაც მიანდეს განხილვა, შემოწმება ნამდვილ დოკუმენტებთან ანგარიშისა და ფორმის შედგენა შემდეგისათვის სახელმძღვანელოდ. კომისიაში მონაწილეობის მიღებას, გარდა ბულღარეევიჩისა, არავინ კისრულობდა, მიზეზათ ჰქონდათ მოუცლელობა და საქმის უცოდინრობა. იქამდინ მიიყვანეს საქმე, რო ზოგი ერთ სოფლელმა დეპუტატმა სთქვეს, ქალაქის სამღვდელოება თუ არა ფერს კისრულობს და არ გვეწევაო, ეგენი წავიდენ სოფლებში და ჩვენ ქალაქში გადმოვალთ და ყველაფერ საქმეში შევეწევითო.

ასე, ამდღესაც შესანიშნავი არა გარიგდა-რა და ხდომა დაიხურა ორის ნახევარზედ.

ამავე 27 საღამოს 5 საათზედ გაიხსნა სხდომა, მაგრამ ცუდ-უბრალოთ ყოყმობდენ რეის ნახევრამდინ, რადგანაც საქმე არა ჰქონდათ-რა გასარჩევი. რეის ნახევარზედ მობრძანდა ეგზარხოსი და მისცა კრებას დარიგება ობლების მიღებაზედ საეპარქიო სასწავლებელში. სხვათა შორის ბრძანა: „კანონის ძალით, მიღება სტიპენდიანტკებისა ეკუთვნის პედაგოგიურ რჩევას და არა თქვენ, მაგრამ მე ვიშუამავლე უწმინდესის სინოდის წინაშე და თქვენ მიგენიჭათ ეს უფლება“. შემდეგ ისაუბრა შესახებ სახლების მოპოვების თფილისის სასულიერო ვაჟების სასწავლებისათვის და ამის შესახებ სხვათა შორის ბრძანა: „რადგანაც ჩვენი სამღვდელოება ღარიბია, ამისთვის ერთი ოლქის სამღვდელოებას არ შეუძლია ააშენოს ანუ იყიდოს სასწავლებლისთვის სახლი. ამისთვის საჭიროა, რომ საეპარქიო კრებამ გარდასწყვიტოს, რათა ასესხოს ყველა ეკლესიამ, რომელსაც კი აქვს ფული, თფილისის ოლქის სამღვდელოებას იმ პირობით, რო თფილისის ოლქის სამღვდელოებამ გარდიხადოს თავიანთი ჯამაგირით ეს სესხი“.

შემდეგ მაღალ ყოველად-სამღვდელომ მიმართა თელავ-სიღნაღის მაზრის სამღვდელო დეპუტატებს და უთხრა როცა მე ვიყავ თელავში, ენახე, რო სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში იყო სამი შეგირდი და მესამეში ორი. აი ამ შეგირდების გულისათვის არის ოთხკლასიანი სასწავლებელი. უმჯობესი არ იქნება, რო იმ სასწავლებელს მოშორდეს ორი კლასი, მესამე და მეოთხე, და დარჩეს იმავე ხარჯით, რაც ეხლა მთელ სასწავლებელზედ იხარჯება, დანარჩენი კლასები“. დაწერილებით დაუხატა, თუ ესე მოიქცევიან, რამდენი ფული დარჩებათ უკან სმოტრიტლის და ინსპექტორის თანამდებობის გაუქმების ჯამაგირებიდამ და როგორ გაუმჯობესდება სასწავლებელი, თუ ამ ფულს მოახმარებენ სხვა კლასებს. ბოლოს ეგზარხოსმა დაუმატა: რასაც ამ კრებაზედ ვამბობ, კი არ გიბრძანებთ და ძალას კი არ გატანთო, გირჩევთო და თქვენ კარგათ მოიფიქრეთ და ისე გარდასწყვიტეთო. დასასრულ ეგზარხოსმა უბრძანა თავმჯდომარეს: რაზედაც კრებას სურს მსჯელობა, დაადგინეთ კითხვები და წარმომიდგინეთ გასაშინჯავათ და თუ ღირსი იქნებიან გაშინჯვისა და არ ეწინააღმდეგებიან კანონს, მოგცემთ ნებას განხილვისასაო.

ამ სიტყვის შემდეგ წაბძანდა და სხდომაც დაიხურა.

თმოგველი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

თფილისის სასულიერო პირთა უძნელდებათ, სიძვირის გამო, მუდამ შენახვა, თავის ხარჯით, გურული მგალობლებისა, რომელნიც თფილისში არიან მოწოდებულნი სასულიერო პირებთაგან. ამის გამო მე შეუდგები იმ ნაირ საქმეს, რომ საუკუნო წყარო უპოვნო ქართულ ეკლესიურ გალობას, რომ გალობა აღარ მოისპოს და შტატად დაიდოს, და აღარც არავინ შეწუხდეს ყოველთვინ შეწირვისათვის.

ამ აზრის გამო მე მივართვი საქართველოს ექსარხოსს იოანიკეს რაპორტი და ესთხოვე, ერთი წლის ვადით,—რეეულის ანუ კონდაკის ნება შეწირულობის ჩამოსათხოვნელად საქართველო-იმერეთში, ქართული გალობის სასარგებლოთ და სამგალობლო სკოლის დასაარსებლად. ექსარხოსმა ინება და მომცა ამ 1881 წელსა 21 მარტსა თავისის ხელ-მოწერითა რეეული „**დასაფუძნებელად ქართველის საეკლესიო გალობის სასწავლებლისა**“.

ეს რეეული შთაბარდა დასატარებლად ჩემდა რწმუნებულის შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონს ილარიონს (ჩოლაყაშვილს). ხსენებული მღვდელ-მონაზონი ერთი მონასტრის მორჩილით და ყულაბით წავიდა ჩამოსათხოვნელად ფულისა ჯერ კახეთს, თელავის და სიღნაღის მაზრაში; შემდეგ იქნება ჩამოთხოვნა თფილისს, ქართლს და იმერეთში.

მე ამ ჩემს დაწყობილს გალობის საქმეს ამ თავითვე თითონვე შევეწიე, ძალი მივე ფულით, ასე რომ შუამთის მონასტრიდან, რომლის წინამძღვრად თითონ მე ვირაცხი, შევსწირე, ექსარხოსის ნება-დართვითა, ორასი თუმანი, ანუ 2,000 მანეთი ამ გალობის თაობაზედა; და განსაკუთრებით ჩემათ შევსწირე ოცი თუმანი.

ბარდა ამისა მე საზოგადოდ მივსწერე და მოუწოდე ბლაღოჩინებს, მღვდლებს და პრიჩეტნიკებს, რომ ამ საქმეში ხელი შეუწყონ ზემოხსენებულ იერომონახს ილარიონს თავის მრეველში, და მასთანავე შუამთის მონასტრის ხაზინადრის იერომონახის მიტროფანის პირით ესთხოვე თელავის უეზდის ნაჩალნიკს თავადს ნიკოლაოზს ჩოლაყაშვილს შემწეობა თავის მაზრაში ამ საქმეში.

და ესრეთ, იმედია, რომ ეს საქმე კარგა წავიდეს და კარგათაც მიდის ჯერჯერობით.

ჩამონათხოვნი ფულები ხელში არ მიეცემათ მგალობლებს, როგორც აქამდინ შვრებოდენ. ფულებს შევინახავთ „პრიკაზში“ და იმის სარგებელმა უნდა არჩინოს მგალობლები. თავნი საუკუნოთ იქნება დაცული გალობისათვის თანხად.

თანხმად ხალხის სურვილისა, მე მსურს, რომ ორი ხორა შევადგინო ქართული მგალობლებისა: ერთი იმერლებისა ანუ გურულებისა, რომელნიც კიდეც არიან აქ თფილისსა და ერთი ქართლელებისა (განსვენებულის ბრიგოლ მღვდლის ქარბელიშვილისა).

ამასთანავე მე მსურს, რომ ნოტზედ გადაღებულ იქმნეს ქართული ეკლესიური გალობა; და შემთხვევაც კარგი მოხდა ამ ნოტის გადაღების პირობაზედ. ამ წელს, წარსულის აპრილის ხუთს, ბზობას, მნახა მე ჩელოვანმა მომღერალმა და ნოტის მცოდნემ, ფილიმონ ძორიძემ, რომელიც დამპირდა ქართულ გალობის ნოტზედ გადაღება. ამ კეთილი განზრახვისთვის მადლობა მივუძღვენი ბ-ნ ძორიძეს და ამას იქით, იმედია, რომ ნოტებზედ გადაღების საქმე ეკლესიური გალობისა კარგათ წავიდეს. მხოლოდ ვინატრათ, რომ საქართველოს შვილებმა, სასულიერო და სახორციელო პირებმა, ამ შემთხვევაში ზემოხსენებულს იერომონახს ილარიონს ხელი შეუწყონ ფულის შეწირვითა; იქნება იმდენი თანხა შედგეს, რომ ამ სარგებლით მგალობლებს ჯამაგირი ეძლიოს სამუდამოთ. ღმერთმა ინებოს ამ ქართული ეკლესიური გალობის საქმის კეთილად დაბოლოება.

ბოლოს მოკლედ გავიმეორებ. ახლა გალობის სასარგებლოთ, ფულების ჩამოთხოვნის აზრი არის:

ა) შედგეს თანხა, რომლის სარგებლიდამ ეძლიოს როჭიკი ქართული გალობის ლოტბარს;

ბ) დაწესდეს სამგალობლო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში უნდა ასწავლონ იმერული კილოცა და ქართულიცა, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში, შავსა და კასპიის ზღვას შუა ორი კილოა ნახმარი: ქართული და იმერული

სკოლისთვის და ოსტატებისთვის ჯერჯერობით ვეცდები, რომ სახლი მოვიპოვო სადმე გაშენებით თუ სყიდვით. ფულები თუ ცოტა შემოვიდა, მხოლოდ ორს მგალობელს დავიჭერთ ოსტატად, ერთს ოსტატს ქართულის გალობისათვის და ერთსაც იმერულისათვის. ვინც ამ ოსტატთაგანი ნიჭს, პატიონებას და ერთგულებას გამოაჩენს სწავლაში და შეგირდებს თავს შეაყვარებს, იმას ექნება პატივი და ყურადღება საზოგადოებისა და სასულიერო მთავრობისაგან, და საბოლოოთაც მხოლოდ ის გამაგრდება თფილისში თავის სარბიელზედ, ეითარცა საქმის ერთგული და სასარგებლო ოსტატი.

ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა,
ვიკარნი საქართველოისა.

26 მაისს.

ქ. თფილისი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შეამსუბუქოს დრო-გამოშვებით ლიტერატურის (ჟურნალ-გაზეთების) შეეიწროებული მდგომარეობა. ამბობენ, კომიტეტის რჩევა განიხილავს იმ პროექტს, რომელიც გრაფ ლორის-მელიქოვისაგან იყო ამ საგნის შესახებ შედგენილი.

საზოგადოება და მწერლობა, განსაკუთრებით პროვინციალური ჟურნალ-გაზეთები, დიდი ხანია მოელიან ამ ახალ კანონის გამოცემას და ბეჭდვის შემსუბუქებას და ამის გამო ამ პროექტის განხილვის დაჩქარება, რასაკვირველია, ყველასთვის სასურველია.

***

ბუშინ, 29 მაისს, ვათავდა თფილისის გუბერნიის სამღვდელოთა ეპარქიალური კრება.

ამ ნაირად, სულ ორი დღე იყო ეს კრება. ამბობენ, ზოგიერთი დეპუტატები ერთობ ჩქარობდენო, შინ წასვლას, ტაბლას, ეშურებოდენო...

ძლიერ სამწუხაროთ მიგვაჩნია ეს გარემოება მით უფრო, რომ სამლვდელოებას ბევრი ძლიერ მძიმე და საინტერესო საქმეები ჰქონდათ განსახილველი და ამ ორ დღეში, ფუს-ფუსით და აჩქარებით აბა რას გაარიგებდნენ...

***

ამ დღეებში იყო ეგზამენები ქალაქის სახელოსნო და პირველ-დაწყებითს სამს სასწავლებელში (ქართულს, რუსულს და სომხურს განყოფილებაში). დიდის სიამოვნებით შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ ყველა ამ სასწავლებლებში შაგირდებმა რიგიანად დაიჭირეს ეგზამენები და მით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ის პედაგოგიური ჭეშმარიტება (თუ კი ამას კიდევ დამტკიცება ეჭირება), რომ ყმაწვილმა პირველ-დაწყებითი სწავლა უეჭველად სამშობლო ენაზედ უნდა მიიღოს.

***

ჩვენმა ქალაქის რჩეულმა გუშინდელს სხდომაზე (რომლის დაწერილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვიყვანთ), სხვათა შორის გადაწყვიტა, რომ მომავალის ენკენისთვიდამ გაიხსნას კიდევ თფილისის სხვა-და-სხვა უბნებში ერთი ქართული სკოლა, ორი სომხური და ერთიც რუსული. რჩეულმა დაამტკიცა აგრეთვე ყველა ხარჯი, რაც ამ სკოლებისათვის დასჭირდება.

***

ახალციხიდამ გვწერენ, რომ ამ ორის წლის წინათ მთელი ქობლიანის ხეობა ძალიან შეწუხებული ყოფილა აჭარლებისაგან, რომელნიც მუდამ თავს ესხმებოდნენ აქაურ სოფლებს და სცარცვავდნენ ხალხსაო. მაგრამ ახლა, რაც ახალი მაზრის უფროსი დანიშნეს, სასტიკი ზომები მიუღიათ, ყარაულები დაუყენებიათ და ხალხი ისე თავისუფლად სცხოვრებს, რომ მთელს ღამეებს მამულებში ატარებენ სამუშაოდ და თუმცა ამ დროს იმათი ცოლ-შვილი მარტო რჩება სახლში, მაგრამ შიში არა აქვსთო.

***

თფილისის მახლობლად, რკინის გზის ვაგზალთან გამოჩნდა კალია; მაგრამ მალე შეტყეს, მუშები დაყენეს და გაწყვიტეს. ბორის მაზრაში მხოლოთ სამს სოფელში გამოჩენილა კალია და სამივე ალაგას მუშებს გაუწყვეტიათ. ამ გვარსავე ამბავს იწერებიან სილნაღის მაზრიდამ, სადაც ელდარში იყო კალია, მაგრამ რადგან სულ გაუწყვეტიათ, მუშები დაითხოვესო. დუშეთის მაზრაში შვიდ დესიატინის სივრცეზე გამოჩენილა კალია და მუშები გამოუყვანიათ.

ერთის სიტყვით, როგორც ეტყობა, კალიისაგან ჩვენს წლევანდელ მოსავალს თითქმის არავითარი შიში არა აქვს, თუ სხვა რამ უბედურება არ გვეწვია: სეტყვა, გვალვა ან სხვა რამ ამისთანა...

***

„ივერიის“ მეექვსე (ივნისის) წიგნი ხვალ ორშაბათს დაურიგდება ხელისმომწერლებს. მოგვყავს შინაარსი ამ წიგნისა:

ბოლინკა საქს. მოთხრობა ა. დრუჟინინისა, (თარგმანი კნეინა ა. მ. მელიქიშვილისა). **ვიდექ შენ წინა** (მიმსგავსება) ლექსი, ვ. ო—სა **უსაფუძვლო წადილი.** (ილ. ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონი“-ს გამო) წერილი პირველი, ნ. ხუდადოვისა. **სიმღერა,** ლექსი, ვლ. მიქელაძისა. **ხალხური ლექსები. ურიების ბედი. უმეცრების ამაყობა,** ი. ბოგებაშვილისა. **ახალი წიგნი.** მერცხალი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ფოთი, 22 მაისს. მთელი ეს ჩვენი საყვარელი საქართველო სწორეთ ედემის ბაღის მზგავსია ეხლა. ამ ბუნებით მშვენიერებას შედარებით არც ჩვენი ფოთია მოკლებული. რაც შეეფერება აქაურ ჭაობიან ადგილს და ნოტიო ჰავას ამ ჟამად აქაც მშვენიერი სამყოფია, მეტადრე პარკში. ეს ერთათ-ერთი სულის მოსაბრუნებელი ადგილი ფოთში მით უფრო მშვენიერია, რომ ამისი სიმშვენიერე მარტო ბუნების ხელოვნების ნაწარმოებია. ადამიანის ხელის შექმნილს აქ ვერას შეამჩნევს თქვენი თვალი. რაღაც სულ სხვა ფიქრებით და ოცნებებით ირთობა თქვენი გული და სული, როცა სხედხართ, ამ, ვინ იცის რა დროთა მოწამეთ, ხეების ჩრდილოში, თან ზღვის ნიავი სასიამოვნოთ ბერავს და თან ისმენთ ხის წვერიდამ მოუწყენარი ბულბულის საამო სტვენას.

დადგა მაისი და ჩვენი ქართველი შეუდგა იმ დაუბოლოებელ ლხინს და დროს გატარებას, რომელთანაც ჩვენი ხალხი ესრე შეზრდილია. ყოველ დღე, საღამოთ განთიადამდის პარკიდან გამოისმის ზურნის განუწყვეტელი სევდიანი ხმა.

წარმოიდგინეთ, ამ საზოგადოთ ყველაფერში ევროპიულ წესების წაბაძვის დროს, ჩვენი მშვენიერი სქესის წარმომადგენელნიც არ თაკილობენ ზურნის ხმის მოსმენით დატკბობას

ბინდა რამ აქაურ საზოგადო ცხოვრებაზედ გაცნობოთ, მაგრამ რა უნდა გაცნობოთ საზოგადო ცხოვრებაზედ იმისთანა ადგილიდან, საცა ეს უკანასკნელი არ არსებობს. აქ ყველანი მიკუჭულ-მიმართულია თავიანთ სოროებში და ფიქრობენ... არ გეგონოთ, რომ ესენი ფიქრობდნენ რამეზედ გარდა „მე და ჩემი სარგებლობი“-სა. ერთის სიტყვით აქაურ საზოგადო ცხოვრების მორეი რომ ჩაყო თავი ადამიანმა, სწორეთ დაბრმავდები სრულიად ჭკუითაც და გონებითაც. ფერაფერს მისთანას, რაც გაგონებდეს კაცს უკეთესს კაცობრიულ ცხოვრებისადმი ლტოლვილებას, უკეთ მსჯელ და მოფიქრალ კაცების არსებობას ქვეყანაზედ, აქ ვერ შენიშნავ. არ არის გაზეთების საკითხავი, არ არის ბიბლიოტეკა, არ არის წიგნის მაღაზია. თუ გამოძვრებიან თავიანთ სოროებიდან, გამოძვრებიან მისთვის, რომ გაამრავლონ ან ქალალდის მოთამაშენი და ან მხტუნავები აქაურ „კეთილ-შობილურ კლუბში,“ რომელიც ამ ბოლოს დროს სწორეთ ტრაქტირს დაემზგავსა. საწვეერო შესატან კაპეიკების დახარბებით განურჩევლათ იღებენ წვერათ, ვინც მოხვდებათ: აქ შეხვდებით რა ხელობის კაცებიც გინდათ, რა ხელობის და ზნეობის ქალებიც გინდათ. არის შემთხვევები რომ წვერები სინჯავენ ერთმანეთის გვერდებზედ თავიანთი მუშტების სიმძრავლეს...

ველირსეთ ქუჩების შეკეთებას: ყველა ქუჩებზედ დაიწყეს სილის მოყრა.

ძალიან კარგს იზამს ჩვენი პოლიცია, რომ აღუკრძალავდეს ფაიტონებით და ცხენებით ტარებას პარკის იმ ალლეიებზედ, საცა მოსეირნე ხალხი დაიარება. აქ პარკში, გააკეთეს გვარიანი რესტორანი, რომელშიაც უნდა მოგახსენოთ, ერთობ ძვირათა ჰყიდიან ყველაფერს. აგრეთვე აკეთებენ ეხლა როტონდის მზგავს რაღაცას, რომელიც ერთობ ვიწრო მოუდით. რა იქნებოდა ცოტა ისრე მოდიდო გაგეკეთებინათ, რომ როდისმე სპექტაკლების გამართვაც შესაძლო ყოფილიყო შიგა.

მივაქცევ ვისიც ჯერ არს მათ ყურადღებას იმ გარემოებაზედ, რომ ღამით ხიდის გადასავალზედ და გადმოსავალზედ გაუნათებლობასთან ხშირათ ქვევითები და ცხენოსნები ვარდებიან აქეთ-იქით თხრილებში. საჭიროა ბარიერები.

ჯოლეგელი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! როცა თქვენს პატივ-ცემულ გაზეთ „დროებაში“ წავიკითხე ბ. ბაფრინდიაშვილის ცემის ამბავი, ძლიერ მეწყინა; მაგრამ უფრო მეწყინა და ზიზღიც მომივიდა, როცა თქვენი გაზეთისვე № 109-ში წავიკითხე იმავ ბ. ბაფრინდიაშვილის წერილი. მეწყინა, რომ ბაფრინდაშვილი ცილს სწამებს თქვენს ქუთაისელს კორესპონდენტს ამ სიტყვებით:

„ამ ამბავში მართალი მხოლოთ ის არის, რომ ორი ადრევე გაფუჭებული შაგირდი ქელბაქიანი და ბოცირიძე დამხვდენ 2 მაისს სასწავლებლის ეზოში ბოროტ განზრახვით. დანარჩენი ამბავი სულ სიცრუეა და კორესპონდენტისაგან ან ქალაქის ქუჩებში მოგროვილი, ან თვითონ მისგანვე მოგონილი, რომ უფრო ფეროვნება მისცეს თავის წარმოგზავნილ ამბავს.“

იმედი მაქვს, ბ. რედაქტორო, რომ მისცემთ ადგილს გაზეთ „დროებაში“ ამ ჩემს პატარა შენიშვნას, რომ დარწმუნდეთ, როგორც თქვენ, ისე თქვენი მკითხველებიც ქუთაისიდამ ბ. ბ—ს შესახებ წარმოგზავნილ კორესპონდეციის სინამდვილეში.

როცა თქვენ, ბ. ბაფრინდიაშვილო, ბოროტ-განზრახვით, როგორც თვითონ სთქვით, ორი შაგირდი, განა მარტო თავი დაგიკრეს და მეტი არაფერი? თქვენ სთქვით, მეტი არაფერიო, მაგრამ ფიცი ბრალია, ბოლომაკვირვებსო, რომ იტყვიან, სწორეთ თქვენ გშვენით. თუ მეტი არაფერი, მაშ რისგან ვქონდათ ხელის ოდენზე ორიეს მხრით დალილავებული ცხვირ-პირი? 2 მაისს ვინ და ვისი წყალობით შეღებე სისხლით უჩილიშჩის ქვის იატაკი? თქვენ ფიცხლად უარს ჰყოფთ თავის გალახვას, მაგრამ გერჩიათ გაჩერებულიყავით და არ გეგრძნოთ ქუთაისელი კორესპონდენტის სიტყვები, როგორც ვერ იგრძენით, როგორც ამბობთ, ქელბაქიანის და ბოცირიძის მუშტები. რასაკვირველია, იგრძნეთ, როგორც კაცი, მაგრამ კიდევ, როგორც კაცი, დამალეთ.

თუმც ამაში ვერ გამართლებთ, მაგრამ იმას კი ნამდვილად ბრძანებთ, რომ ზოგი რამ ტყუილიც ჩაურევია ქუთაისელ კორესპონდენტს; მართლა, როგორ სიცრუე არ არის, როცა ის ამბობს, ბ—ს სისხლი აფურთხებინესო, როდესაც კი არ აფურთხებინეს, არამედ როგორც ჩაფიდამ წყალი, ისე აღვრეინეს. ან კიდევ ეს, ნამეტანის ცემითო ბ—ი ლოგინზე დაეცაო, როდესაც ლოგინზე კი არა, ქვის იატაკზედ დაეცა...

თქვენ ამბობთ: ინსპექციის მოქმედება არც ერთ წამს არ შეჩერებულა.“ ნამდვილია, არ შეჩერებულა, მაგრამ იმის მოქმედება ისე კი დამძიმდა, რომ სწორეთ, რომ შეჩერებულიყო, უმჯობესი იქნებოდა.

რაც შეეხება იმ თქვენს აზრს, რომ ვითომ გაფუჭებული ყმაწვილის მოქცევა არას გზით არ იქნება, ამაში მხოლოდ თქვენისთანავე დაგეთანხმებათ, თვარა ცოტა აზრიანი და მიხდომილი ყოველთვის დარწმუნებული იქნება იმაში, რომ პატიოსნებით, სინდისით და კეთილ-მოქმედებით შემკული და გამაგრებულს კაცს თითქმის ყოველთვის შეუძლია მოაქციოს და სწორს გზაზედ დააყენოს ბოვშობიდვანვე 15—16-დის გაფუჭებული ახალ-გაზდა.

თქვენ თამამათ ამბობთ, რომ შაგირდების ცუდად ქცევის მიზეზი არც სასწავლებლის წესში, არც ჩემშიაო. გაიხსენეთ, თქვენ რომ წყლის სმის დროს ერთს ბავშთან მივარდით და ისეთი წიხლი ჩააზილეთ ფერდში, რომ ბავში კინაღამ წაიქცა. მოიგონეთ ის დრო, როცა ბ. ლვინიევის საქმის გარჩევა უნდოდათ, იქ რომ თქვენ შემკეთ თქვენიე მესამე თუ მეოთხე კლასის შაგირდები ისეთის შეზავებული სიტყვებით, რომ ხალხმაც გიკითხათ, ვინ არის ეს გაზდილი ბატონიო. ყველა ამაების მცოდნეთ რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ბ. ბაფრინდაშვილის 730 შაგირდში ორი კა არათუნდ ნახევარიც იყოს გაფუჭებული...

საკვეელი.

29 მაისს.

რუსეთი

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ სახელმწიფო რჩევაში უმაღლესის ნებართვით შეტანილი იყო განსახილველად მოსაზრება—სახნავ-სათესის ნადელის ადგილების გამოსყიდვის თაობაზედ იმ გლეხებისაგან, რომელნიც დღემდის დამოკიდებულნი არიან მებატონეებისაგან. სჯა არის აგრეთვე გამოსყიდვის ფასის შემცირებაზე რამოდენიმე გუბერნიაში. ამ უკანასკნელი საგნის უფრო გარკვევით განსახილველად ხელმწიფე იმპერატორმა ინება ბრძანება:

ა) გამოსყიდვის ფასის შემცირების მოსაზრების შედგენა მიენდოს სამინისტრო სხდომას, რომელიც შესდგება: შინაგან საქმეთა, სახელმწიფო ქონებათა და ფინანს მინისტრისაგან, თანადასწრებით ექსპერტებისა (მცოდნე პირებისა), რომელნიც იქმნებიან იმათგან მოწვეულნი.

ბ) ამ რჩევის მოსაზრება წარედგინოს სახელმწიფო რჩევას განსახილველად 15 ენკენისთვისათვის.

— როგორც სწერდნენ ამას წინეთ რუსეთის გაზეთები, ქ. კიევში დაიწყეს ებრაელების წინააღმდეგ უწესოების საქმის გარჩევა სამხედრო ოლქის სასამართლოში. ხსენებულს გაზეთებში ეკითხულობთ, რომ დამნაშავეთ რიცხეს შეადგენდა 24 კაცი: ამათ რიცხვიდამ სამი ჩაირიცხება ადგილობრივ მცხოვრებლად, დანარჩენი მუშა ხალხია ყველანი ჩრდილოეთ რუსეთიდამ ჩამოსულნი. ბრალდებულთ არ უცენიათ თავის თავი დამნაშავეთ. გამამტყუნებელი (პროკურორი) თავის სიტყვაში ცდილობდა დაემტკიცა, რომ უწესოების მიზეზი—ებრაელებისაგან მუშა ხალხის შევიწროება არისო. სასამართლომ იცნო ბრალდებულნი დამნაშავედ უწესოებაში და ქურდობაში და გაამართლა გაცარცვაში და მთავრობის წინააღმდეგობაში. სამ კაცს ერთის წლით და ნახევრით და ერთსაც სამი წლით და ნახევრით არესტანტების როტაში ჩასმა განუსაჯეს; დანარჩენებს: რვა კაცს ციხეში ჩასმა ორი თვით, ოთხს სამი კვირით; დანარჩენი შვიდი კაცი გაამართლეს.

— ებრაელების წინააღმდეგ მოძრაობამ იცვალა სახე: ეხლა ამ მოძრაობას მიზნათ სრულებით არა აქვს არც გაცარცვა, არც გლეჯა-მტვრევა და ცემა-ტყეპა, არამედ ის, რაც არ ეწინააღმდეგება კანონების მოთხოვნილებას. ხერსონის გუბერნიიდამ ქ. ელიზავეტგრადიდამ იწერებიან, რომ ამ ქალაქის მაზრაში რამოდენიმე სოფლებში გლეხების საზოგადოებამ დაადგინა განჩინებაო, რომლითაც სთხოვენ მთავრობას გადაასახლონ მათი ადგილებიდან ებრაელები.

ამ გვარივე განჩინება დაუდგენიათ ზოგან ოდესის მაზრაშიაც.

თუმცა წასრულ წლებშიაც კი ყოფილა ამ გვარივე თხოვნა, მაგრამ არავითარი შედეგი არ ჰქონია, რადგანაც მათი რიცხვი ძრიელ ცოტა იყო; ეხლა კი, შეიძლება ამ თხოვნების რიცხვმა იქონიოს გავლენა და უმისოთაც შეევიწროებულ ებრაელებს უარესი მდგომარეობა დაადგესთ.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

ქართველ თავად-აზნაურთა გუჯრები (გრამოტები).

შედგენილი დ. ბ. ფურცელაძისაგან.

ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში, თითო წიგნი 50 კაპ., ძუთაისში ბერარდის წიგნის მაღაზიაში—70 კაპ. (5—2)

ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭელეულობა, ბაკლები, ტაშტები, ბირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, ბადნოსები, კლიტეები, დანები, ჯოგზები, კალმები, ქადაღდი, კარანდაშები, რეუულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, ბარუსინა, ცხვირ-სახოცები, ბირსახოცები, კლეონკა, ჯაცის და ქადის წინდები. უსაგრები, ბორტვეინი, სერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი ბარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შარბეთი, მაგნეზია დ. წყურვილისაგან ლეპიოშკები, ტიგებისაგან ქინაქინის ღვინო, კარბოლის ბარაშოკი საბონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქადაღდი ფესის-ალაგებისათვის, სპარსეთის ბარაშოკი და სხვ. (15—2)

მოსახურავი 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეტი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 ბადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოძაზეი 1 მ.--1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. ბარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რვინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—2)

მიუსედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრანის რომელთაც დაიმსახურეს ბარიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქრონ მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—65

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოგზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საპონისა, შო კეებისა, ცხვირ-სახოცისა, ქადაღდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უსაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩეკინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასხურებელ ცალკეულად კანფეტების და ბატეჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანის იგარები. (100—66)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—66)

გამოვიდა „დრო არის საძმეს შეუდგეთ“ თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „ვაი მართალთა!“ თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში; ბორს მარიამ ქერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ძუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—2)

თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრებისა“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საუოველთაოდ აცხადებს:

1) მოხსენებულია სესხის გაცემა და გირავნის ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უმეტეს გამოცემულ გირავნის ფურცლების შესახებ დაცული იქნება იმ წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირავნის ფურცლებით, რომლის თავდები და ბასუსის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27\frac{1}{2}$ წლითა და აგრეთვე 18 წლითა და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი ბროტენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უჩვეულებრივი თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{8}$% ბროტენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში—$\frac{3}{4}$% და 18 წლითა და 7 თვით აღებულს ვალში—$1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც ჭსურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის ბალანი, თუ აქვს, გ) დაწერილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ჭსურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის ბოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ტყეხლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი სარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% ბროტენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Мая 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ი. ჯავჯავაძე და ს. მესხი.